

## სამოქალაქო პლატფორმა "არა ფოკიას!" დაფუძნდა

7 მაისს ფრანტლანს საქართველოს კლუბში 13 არასამთავრობო ორგანიზაციამ სამოქალაქო პლატფორმა "არა ფოკიას!" დააფუძნა. ხელი მოეწერა ერთობლივ დეკლარაციას, რომლის მიზანია სამოქალაქო საზოგადოების გაერთიანება სიძულვილის ენასა და დისკრიმინაციის ყოველგვარ გამოვლინებასთან ბრძოლის იდეის ქვეშ.



პლატფორმაში გაწევრიანებული არიან: მედიის განვითარების ფონდი, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, იდენტობა, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ფონდი ღია საზოგადოება

## რეაბირება

10 მაისი

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ გაზეთ "რეზონანსის" წინააღმდეგ MDF-ისა და TDI-ის განცხადება დააკმაყოფილა

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ 10 მაისს გამართულ სხდომაზე დააკმაყოფილა მედიის განვითარების ფონდისა (MDF) და ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) საჩივარი გაზეთ "რეზონანსის" წინააღმდეგ.

ქარტიამ გაიზიარა MDF-ისა და GDI-ის მოსაზრება, რომ 12 მარტს გამოქვეყნებული სტატიით "ჰოლივუდის ვარსკვლავები, რომელთაც სძულთ ჰომოსექსუალები" გაზეთმა რეზონანსმა დააღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პირველი (სიზუსტე) და მე-7 (დისკრიმინაცია) მუხლები.

ქარტიის პირველი მუხლის თანახმად, ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს საზოგადოების უფლებას - მიიღოს ზუსტი ინფორმაცია. ხოლო მე-7 მუხლის მიხედვით, "ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით".

## # 12, 5-11 მაისი



## შინაარსი

შუღლის გაღვივება	3
ძალადობისკენ წაქეზება	3
სიძულვილის ენა	3
კრიმინალური ფაქტის ქსენოფობიურ კონტექსტში გაშუქება	4
ეთნიკური ნიშნით სეგრეგაცია	4
რელიგიური ნიშნით სეგრეგაცია	5
ანტიდისკრიმინაციული კანონი: კრიტიკა მმართველი გუნდის მიმართ	5-7
ანტიდისკრიმინაციული კანონი: ანტიდასავლური განწყობები	8-9
ანტიდისკრიმინაციული კანონი: ჰომოფობიური განცხადებები	9-10
გენდერული სტერეოტიპები	10

## მონიტორინგის მიზნები

5-11 მაისის პერიოდში შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:

- შუღლის გადავივებას ამერიკელების მიმართ ინტერნეტ-პორტალი "საქინფორმი" რიჩარდ ლუგარის სახელობის ლაბორატორიის შესახებ გამოქვეყნებული სპეკულაციური პუბლიკაციით ახდენდა;
- არასრულწლოვანის გაუპატიურების მცდელობაში ბრალდებული ერაყის მოქალაქეების დაპატიმრების ფაქტი ბეჭდვითმა მედიამ ქსენოფობიურ კონტექსტში გააშუქა, რა დროსაც უცხოელების მიმართ სიძულვილის გადავივება და ამერიკის საელჩოსთან ეჭვმიტანილთა გათავისუფლების შესახებ დაუდასტურებელი ფაქტის დაკავშირება ხდებოდა (ასავალ-დასავალი); ამასთანავე მედია (კვირის პალიტრა) ძალადობის ფაქტის გამართლებას ახდენდა;
- სიძულვილის ენა ლგბტ თემის მიმართ იყო გამოხატული (რეზო ამამუკელი, პოეტი);
- ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების თემა კვლავ აქტუალური იყო, რა დროსაც მკვეთრად იმატა უკმაყოფილებამ მმართველი პოლიტიკური გუნდის, ასევე დასავლეთის მიმართ, რომელიც წარმოჩენილი იყო, როგორც ძალა, რომელმაც ხელისუფლებას კანონის მიღება აიძულა. ამავე კონტექსტში კეთდებოდა დისკრიმინაციული განცხადებები ლგბტ ჯგუფების მიმართ და დისკრიმინაციასთან სახელმწიფოს ბრძოლა მხოლოდ ერთი ჯგუფის უფლებების რელიზაციასთან იყო გაიგევეებული. მსგავსს რიტორიკას მეტწილად კვლავ არასაპარლამენტო ოპოზიცია (ნინო ბურჯანაძე, ჯონდი ბალათურია, ნინო ბურჯანაძე - ერთიანი კოალიცია; კახა კუკავა, ახალი მემარჯვენეების თბილისის მერობის კანდიდატი), სასულიერო პირები და მედია საშუალებები (ასავალ-დასავალი, "ალია", "ობიექტივი", საქინფორმი, Geworld.ge) და სხვა რესპონდენტები მიმართავდნენ;
- ჰომოფობიურ განცხადებებს როგორც მმართველი გუნდის წარმომადგენელი (ნუკრი ქანთარია, ქართული ოცნება), ასევე მედია (ასავალ-დასავალი, კვირის ქრონიკა, საქინფორმი, Geworld.ge), სასულიერო პირები და სხვა რესპონდენტები მიმართავდნენ;

## შუღლის გაღვივება

საქინფორმი, 5 მაისი

ინტერნეტ-პორტალი განმეორებით აქვეყნებს საქინფორმის მთავარი რედაქტორის არნო ხიდირბეგიშვილის სპეკულაციურ სტატიას “არდაბრუნების წერტილი და რიჩარდ ლუგარის სახელობის სიკვდილის ფაბრიკა” (2012 წლის 13 აგვისტო), რაც არასწორი ფაქტების გავრცელებასთან ერთად, ამერიკულების მიმართ შუღლის გაღვივებას უწყობს ხელს:

**არნო ხიდირბეგიშვილი:** "სსრკ-ის დროს საქართველოში ქარხნები და ფაბრიკები შენდებოდა, ხოლო საქართველოს სტრატეგიული მოკავშირე №1 2004 წლიდან დღემდე მხოლოდ იარაღის მოწოდებითა და საქართველოში სამხედრო ობიექტების მშენებლობით არის დაკავებული..."

თავდაპირველად აშშ-თან პარტნიორობის მსხვერპლი ქართველი ჯარისკაცები გახდნენ ერასყა და ავღანეთში, ახლა კი, ლაბორატორიაზე განხორციელებული დივერსიის, ტერაქტის ან, თუნდაც, შემთხვევითი „ჩპ“-ს შედეგად, ვირუსის შტამის გაჟონვის მსხვერპლი შეიძლება გახდეს არა მარტო საქართველოს მოსახლეობა, არამედ რეგიონის ქვეყნების – აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთის, ირანის, რუსეთის."

[http://saginform.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=18745:2014-05-05-08-29-42&catid=99:actual1&Itemid=419#ixzz32O08BPcC](http://saginform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=18745:2014-05-05-08-29-42&catid=99:actual1&Itemid=419#ixzz32O08BPcC)

## აკლადობისკენ წაქეზება

ასავალ-ღასავალი, 5-11 მაისი

**მათე ციხმსაშვილი, იქერიის მთავრობის ე.წ. წარმომადგენელი:** „დახოცილები არ ცოცხლდებიან. ასეთ შემთხვევაში ჩვენთვის ერთადერთი სამართალი სისხლის აღება... სისხლის აღების პროცესი დაწყებულია... ის კონკრეტული შემსრულებლები მალე ისეთ დღეში ჩავარდებიან, რომ სააკაშვილსა და მერაბიშვილს თავად მოსთხოვენ პასუხს, ამ მკვლელობაში, რომ გარიეს.“

## სიკუპვილის ენა

ასავალ-ღასავალი, 5-11 მაისი

**რეზო ამაშუკელი, პოეტი:** “კიდევ ერთხელ მინდა დავუდასტურო ირაკლის [ღარიბაშვილს] ჩემი ნდობა და ერთგულება და გავახსენო კანონი, რომელიც გამოსცა მისმა სენიამ დიდმა მეფემ - პატარა კახმა: ...ღვთის დიდად განმარისხებელისა და მიუტეველობისა ფინთისა და მყრალისა და ცეცხლით საუკონოთ მწველისა, მამათმავლობის მქმნელი, მამალნი ანუ დედალნი, ესენი უნდა ძალიანი და საანდაზო ჯაჯაებით (ჯაჯა \_ტანჯვა-წამება) დაიხოცნონ!“

<http://www.asavali.ge/archive/asdas/2014/1019.html>



**არნო ხიდირბეგიშვილი, საქინფორმის მთავარი რედაქტორი:**

“თავდაპირველად აშშ-თან პარტნიორობის მსხვერპლი ქართველი ჯარისკაცები გახდნენ ერასყა და ავღანეთში, ახლა კი, ლაბორატორიაზე განხორციელებული დივერსიის, ტერაქტის ან, თუნდაც, შემთხვევითი „ჩპ“-ს შედეგად, ვირუსის შტამის გაჟონვის მსხვერპლი შეიძლება გახდეს არა მარტო საქართველოს მოსახლეობა, არამედ რეგიონის ქვეყნების – აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთის, ირანის, რუსეთის.“

## პრიმიტიული ფაქტის ქსენოფობიურ კონტექსტში გაშუქება

### ასავალ-ღასავალი, 5-11 მაისი

სათაური: „დასაჯეთ უმკაცრესად!“

**გიორგი გიგაური, ჟურნალისტი:** „სამი ერაყელი 15 წლის მოზარდი ბიჭის გაუპატიურებას ეცადა!.. მე წამდვილად მენიშნა, რომ ეს პედოფილურ-პედერასტული ორგა სწორედ ამ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებას დაემთხვა და ამით თითქოს უფალმა გაგვფრთხილა, სოდომ-გომორის ცოდვას ნუ დააკანონებთო!.. გავრცელებული ინფორმაციით, გამორიცხული არ არის, რომ ისინი დაუსჯელად დატოვებენ საქართველოს, რადგან მას თვით ამერიკის საელჩო მფარველობს... 2. ქართველმა საზოგადოებამ პრინციპულად უნდა მოითხოვოს ამ პედოფილებისა თუ პედერასტების უმკაცრესად დასჯა! 3. ხელისუფლებამ მკაცრ კონტროლზე უნდა აიყვანოს საქართველოში შემოსული ყველა უცხოელი, რომელთა შორის (განსაკუთრებით, ისლამური ქვეყნიებიდან) დიდი ალბათობით, სწორედ ასეთი პედოფილები და პედერასტები არიან...

და რაც მთავარია ეს ამაზრზენი ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ უბილწესი და უსაზიზღრესი კატეგორიის არსებებთან გვაქვს საქმე, ანუ იმათთან, ვისაც ცივილიზებული დასავლეთის, დაჟინებული მოთხო-

ვნით ჩვენში უკვე „სექსუალურ უმცირესობებს“ ემახიან და მათი უფლებების დასაცავად სპეციალურ კანონებსაც კი ქმნიან!“

### სოსო ჯაჭვლიანი, ქართული ოცნება:

„სხვათა შორის როცა ამ კანონს ვიღებდით და დიდი ვნებათაღელვა იყო, თბილისში 15 წლის ბიჭი სამმა ერაყელმა 15 წლის ბიჭი კინაღამ გააუპატიურა. საზოგადოებას ვეკითხები - რატომ არ შეიკრიბა ათასობით ადამიანი და არ გამოთქვა პროტესტი ამ ფაქტზე?“

<http://www.asavali.ge/archive/asdas/2014/1019.html>

### კვირის კალიტრა, 5-11 მაისი

**უბა ბიჭაძე, ჟურნალისტი:** (მიმართავს ინდოელებს, რომლებსაც მოსახლეობა ფიზიკურად გაუსწორდა): „ბავშვის გაუპატიურების მცდელობა დაფიქსირდა, ეს არ აძლევს ხალხს გაღიზიანების მიზეზს?“

### გიორგი იმასაშვილი, ზანდუკელის N2-ში

**მცხოვრები:** „მაგათი გამოისობით ყარს აქაურობა... ხმას ვერავინ იღებს იმის შიშით, რომ პოლიცია დაიჭერს - პატივი ეცით უცხოელებსო. ვის უნდა ვცე პატივი - ღამით რომ არ მაძინებს და ბავშვებს დასდევს გასაუპატიურებლად?“

## ეთნიკური ნიშნით სეგრეგაცია

### ასავალ-ღასავალი, 5-11 მაისი

**თამარ ბაგნიძე, ეროვნული არქივის ყოფილი თანამშრომელი:** " ეს ყველაფერი [არქივის განადგურება] ემსახურება იმას, რომ გაექროთ საკოლმეურნეო ნაკვეთების, სამოვრებისა და საკომლო კუთვნილებაში არსებული მიწათა დოკუმენტაცია. ადარე არსებობს და ამიტომაც აღმოჩნდა მიწები ინდოელების, ირანელების და ჩინელების ხელში.“

<http://www.asavali.ge/archive/asdas/2014/1019.html>

### კავკასია, სკამტრი, 6 მაისი

**ბია მაისაშვილი:** „...და არა ის ძუნძგლიანი, ფეხშველა ხალხი [საქართველოში ჩამოსული უცხოელი მიგრანტები], რომელიც ახლა სავსეა...“

[https://www.myvideo.ge/?video\\_id=2328266](https://www.myvideo.ge/?video_id=2328266)

**რელიგიური ნიშნით სობრეობაცია**

**ასავალ-დასავალი, 5-11 მაისი**

**რეზო ამაშუკელი, პოეტი:** „გაიგოს ყველამ, რომ მართლმადიდებლობა არის ქართველობის განუყოფელი ნაწილი, ჩვენი ბიოლოგიური გადარჩენის ერთადერთი საშუალება და როდესაც ეს მანქურთი ზურაბიშვილი ამტკიცებს, რომ ქართველი შეიძლება იყოს იელოველი, პირდაპირ ვიტყვი: კი ბატონო, შეიძლება იყოს, მგრამ ჩემი ხსნის გზა მართლმადიდებლობაა!“  
<http://www.asavali.ge/archive/asdas/2014/1019.html>

**GEWORLD.GE 7 მაისი**

**ბონდო მიინარაშვილი, ჟურნალისტი:** „მთელი ამ [ანტიდისკრიმინაციული კანონის] განხილვების დროს ვერსად მოვისმინე და წავიკითხე ეთნიკური უმცირესობებისა და ტრადიციული რელიგიური უმცირესობების - მუსლიმების, კათოლიკების, იუდაისტებისა და გრიგორიანელების განცხადებები. არადა, ვფიქრობდი, რომ მათთვის მიუღებელი იქნებოდა არატრადიციულ სექსუალურ უმცირესობებთან ერთ კონტექსტში მოხსენიება. ნუთუ, ისინი ჩვენზე ტოლერანტები არიან? არა მგონია. აქ უმთავრესი მიზეზი არის ის, რომ საქართველო ქართველების დასაცავია - მართლმადიდებლების, უპირველესად.“  
<http://geworld.ge/View.php?ArtId=5867>

**ანტიდისკრიმინაციული კანონი: კრიტიკა მმართველი გუნდის მიმართ**



**რეზონანსი, 7 მაისი**

**ნინო ბურჯანაძე, ნინო ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიცია:** „რაც შეეხება პროპაგანდას იმისას, რაც ჩვენთვის მიუღებელია, ამ პროპაგანდის უფლებას ნამდვილად არავის უნდა აძლევდეს ხალხი და ქვეყანა.“  
[http://www.resonancedaily.com/index.php?id\\_rub=7&id\\_artc=20180](http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=7&id_artc=20180)

**პრაიმთაიმი, 5 მაისი**

**თენგიზ კიტოვანი, თავდაცვის ყოფილი მინისტრი:** „ქართველი კაცის შემარცხვენილი კანონის მიღებას არ დავუშვებ! პირველი ჩვენ დავიწყებთ ომს ამ კანონის წინააღმდეგ, პარლამენტში შევალთ, ცხვირ-პირს დავუმტვრევთ და ისე გამოვყრით ყველას, არც არაფრის მომერიდება!“  
[http://ptpress.ge/index.php?year=2014&magazine\\_id=381&topic\\_id=9068#.U3PXX\\_mSxp4](http://ptpress.ge/index.php?year=2014&magazine_id=381&topic_id=9068#.U3PXX_mSxp4)

**აღია, 7 მაისი**

**მისილი ანდლუშაძე, კოალიცია „ერთსულოვნება“:** „აი ჩემი მეხუთე შვილი, რომელსაც სურს, იყოს ქართველი რა ვუთხრა, შვილო არ გეძლევა ეროვნულობის დაცვის შესაძლებლობა, იმიტომ, რომ „ლგბტ“ ხელისუფლება მოდის და პარლამენტი ერთხმად იღებს მათი ინტერესების დამცველ კანონს-მეთქი?“

**რეზონანსი, 9 მაისი**

**მამუკა კაციტაძე, ახალი მემარჯვენეები:** „ანტიდისკრიმინაციული კანონი თავად დისკრიმინაციის ხელშემწყობი არ უნდა იყოს. როდესაც იცავ უმცირესობას, ერთ მშვენიერ დღეს არ უნდა მოხდეს ისე, რომ უმცირესობა უმრავლესობის დისკრიმინატორი გახდეს.“

**ოზიმატივი, ღამის სტუდია, 10 მაისი**

**ბამა ამბრიაშვილი, ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიცია:** "ამ კანონში ჩადებული არის სიტყვა "სქესი", შეიცვალა სიტყვა "გენდერით"... ამას მოჰყვება ძალიან სავალალო შედეგები და პატრიარქმაც თქვა თავის ქადაგებაში, რომ ჩვენი მთავრობაო ამას ძალიან მალე ინანებსო, რომ უკანონობა დააკანონაო."  
[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2334072](http://www.myvideo.ge/?video_id=2334072)

## ანტიდისკრიმინაციული კანონი: პრიტიკა მმართველი გუნდის მიმართ

დასაწყისი გვ. 5  
საქინფორმი, 8 მაისი

**იოზი აძიავილი, მეუფე:** „ამ ცოდვის ჩამდენ პირთა „დაცვით“ ანტიდისკრიმინაციული კანონით, ჩვენ სადმართო რისხვას დავიმსახურებთ... მით უმეტეს, თუ ამ ცოდვის ჩამდენი გახდება საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრი, ან სულაც ეკლესიის მმართველი (მსგავსი მაგალითებია ამერიკაშიც და ევროპაშიც, დიდი და მცირე ქალაქების მერები მამათმავლები არიან და ამას არც მაღავენ).  
[http://saginform.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=18805:2014-05-08-09-16-13&catid=109:arno&Itemid=538#ixzz31aDt49PP](http://saginform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=18805:2014-05-08-09-16-13&catid=109:arno&Itemid=538#ixzz31aDt49PP)

ალია, 9-12 მაისი

**საბირილონ აბულაძე, მეუფე:** „რა ჰგონია მას, ვინც მოდის დღეს და ქართველი ხალხის მამათმავლობას, სოდომის ცოდვასა და გაპიდარასტებას უკეთებს აგიტაცია-პროპაგანდას, ის იმაზე უფრო უარესი მტერი არ არის ქვეყნისა, ვიდრე რუქნადინი და მთელი ოდა ვირემშაკებისა?... მოდიან, აფინანსებენ საქართველოს, ეუბნებიან თუ არ გახდები მამათმავალი, თუ არ გახდები ბილწი და საბაგელი ცოდვით დაცემული, არ მოგცემ გრანტებსო. კიდევ ჩვენ ვართ მოძალადეები?“

ალია, 6 მაისი

გაზეთის პირველ გვერდზე გამოტანილია ფოტო სამი თითის კომბინაციით და წარწერით, „ქართული ოცნების“ საარჩევნო დაპირება იყო: „ერთად აღვადგინოთ სამართლიანობა“ ქართულმა ოცნებამ შენ მოგატყუა!“

მინაწერი პარლამენტში ანტიდისკრიმინაციული კანონის განხილვას უკავშირდებოდა.

ასავალ-დასავალი, 5-11 მაისი

**დიტო ჩუბინიძე, ჟურნალისტი:** „თუ ქართული მიწების გაყიდვა ძველებურად უნდა გაგრძელდეს, თუ კახელი გლეხი ისევ უნდა ატირებულიყო და ამ ქალაბიჭა „ელგებტელებისათვის“ „ოსანა“ უნდა გვემღერა, ხელისუფლება რისთვის შეიცვალა?“  
<http://www.asavali.ge/archive/asdas/2014/1019.html>

კვირის ქრონიკა, 5-11 მაისი

**გიორგი ფოფხაძე, ჟურნალისტი:** „სოსო ჯაჭვლიანმა არ შემოიტანა ტერმინი „მესაჯდომეები“ და ხმალამოლებული არ იბრძოდა პედერასტების წინააღმდეგ?! არადისკრიმინირებულ საქართველო, უკანალით შევდივართ ევროპაში?... უმრავლესობა, როგორ იყო წელიწად-ნახევრის წინ ლექციებს რომ გვიკითხავდით, მიშა სააკაშვილმა მესაჯდომეებით გაავსო ქვეყანა და მამათმავლები თავზე დაგვასვაო!“

ასავალ-დასავალი, 5-11 მაისი

**ჯაბა სუბუა, ჟურნალისტი:** „დიახ, ქართულმა ხალხმა „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოიყვანა თავისი ეროვნული

იდენტობის გადასარჩენად და არა - გენდერული იდენტობის დასაკანონებლად!“  
<http://www.asavali.ge/archive/asdas/2014/1019.html>

ასავალ-დასავალი, 5-11 მაისი

**სათაური:** „რა უნდა გააკეთოს ირაკლი ღარიბაშვილმა მის ხელისუფლებაზე განრისხებული საზოგადოების დასაშოშმინებლად და რითი უნდა გადაფაროს პრომამათმავლური კანონის მიღების გამო ატეხილი სკანდალი“

**ჯაბა სუბუა, ჟურნალისტი:** „უნდა მოხდეს სააკაშვილის რეჟიმის ისეთი მძიმეწონოსანი ფიგურების დაპატიმრება, როგორებიც არიან მაგალითად: გიგა ბოკერია, გიორგი ბარამიძე, გივი თარგამაძე...“

აი, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებს ხელისუფლება საქართველოს მოსახლეობას გარკვეული დროის განმავლობაში მაინც გადაავიწყოს ის, თუ როგორ წავიდა იგი ეკლესიისა და პატრიარქის ნების წინააღმდეგ და როგორ მოახვია ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას სოდომ-გომორის ცოდვის შვილების აღმზევებელი კანონი!“

<http://www.asavali.ge/archive/asdas/2014/1019.html>

**ანტიდისკრიმინაციული კანონი:  
პრიტიკა მმართველი გუნდის მიმართ**

**პაპკასია, დღეს, 5 მაისი**

**პასა კუპაპა, ახალი მემარჯვენეების თბილისის მერობის კანდიდატი:** „თუ ამ რიტორიკას გააგრძელებს პარლამენტი და თუ ეს კანონი არ შეიცვლება, დარწმუნებული ვარ, რომ ეს 16% [NDI -ს კვლევები] გაიზრდება. განსაკუთრებით იმ სულელური რიტორიკის ფონზე, რომელიც ქონდა დარიბაშვილს და წულუკიანს, რომ ევროპა ითხოვს ჩვენგან ჰომოსექსუალიზმის ლეგალიზაციას.“  
[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2330833](http://www.myvideo.ge/?video_id=2330833)

**ასავალ-დასავალი, 5-11 მაისი**

**დიტო ჩუბინიძე, ჟურნალისტი:** „ყოველ დღე ყოველ წუთს, ყოველ წამს საქართველო დვითვიბოდებულ და სისხლხორცეულ ტერიტორიებს კარგავს!.. საქართველოს პარლამენტში კი ამ დროს ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონის გარშემო „ძიძგი, ძიძგი, მამალოა“ გაჩაღებული და ძვირფასი პარლამენტარები, ევროპელი კოლეგებისა თუ პატრონების რჩევით, ნაირ-ნაირ სიტყვებსა თუ კონტექსტებს არჩევენ გაგანია პედერასტების, ლესბოსელების, ტრანსვესისტებისა თუ ტრანსსექსუალების მისვრილ-მოსვრილი უკანალების გადასარჩენად... მიტროპოლიტი ქრისტეფორე (წამალაიძე) „ასავალ-დასავალთან“ საუბარში აცხადებს, რომ ე.წ. ანტი-დისკრიმინაციული კანონის მიღებით ქართველი ერი, შესაძლოა გაიხლიჩოს და სრულფასოვან ქართველებსა და ლგბტლებს შორის ქუჩებში სისხლისმღვრელი შეტაკება დაიწყოს!“



*„მიტროპოლიტი ქრისტეფორე (წამალაიძე) „ასავალ-დასავალთან“ საუბარში აცხადებს, რომ ე.წ. ანტი-დისკრიმინაციული კანონის მიღებით ქართველი ერი, შესაძლოა გაიხლიჩოს და სრულფასოვან ქართველებსა და ლგბტლებს შორის ქუჩებში სისხლისმღვრელი შეტაკება დაიწყოს!“*

**ასავალ-დასავალი, 5-11 მაისი**

**ნონა ბენდელიანი, ჟურნალისტი:** „ბატონო თენგიზ [მიმართავს თენგიზ კიტოვანს], რას იტყვით, ზვიად გამსახურდია ასეთი გარყვნილების დაკანონებას ოდესმე დაუშვებდა?“

**თენგიზ კიტოვანი, თავდაცვის ყოფილი მინისტრი:** „ზვიადი რომ ყოფილიყო, ჰომოსექსუალიზმის დაკანონებაზე კამათს კი არა, ამის ხსენებასაც ვერავინ გაბედავდა!“  
<http://www.asavali.ge/archive/asdas/2014/1019.html>

**GEWORLD.GE 7 მაისი**

**ბონდო მინარაშვილი, "ობიექტივის" ჟურნალისტი:** „თუმცა საქართველოში ხელისუფლებები ვამინგტონიდან მონაბერ ოკეანის ქარს უშვერენ გაცხელებულ შუბლებს (არა მხოლოდ!) და თითქმის არ უსმენენ ერის მწყემსმთავარს.“  
<http://geworld.ge/View.php?ArtId=5867>

**GEWORLD.GE 8 მაისი**

**ვაჟა ოთარაშვილი, პატრიოტთა ალიანსი:** „თუ უსუფაშვილს სჭირდება, მაშინ პირადი მაგალითით გვიჩვენოს, ოღონდ საჯაროდ და სახალხოდ, - გაათხოვოს თავისი ბიჭი, გოგო კი გოგოზე დააქორწინოს, იგივე გააკეთოს იმ 112-მა პარლამენტარმა, რომელთაც ამ კანონს მხარი დაუჭირეს ... ეს მოღალატე პარლამენტია და მე მრცხვენია.“  
<http://geworld.net/View.php?ArtId=5870&lang=ge&Title=vaJa+oTaraSvili+:+%C2%ABdidma+reJisorma%C2%BB+biZina+ivaniSvilma+xalxs+pirSi+Cala+gamoavlo!>

**კვირის კალიტრა, 5-11 მაისი**

**პასი პასიშვილი, ექსპერტი:** "რიგ ქვეყნებში, სადაც ერთსქესიანთა ქორწინებები დაკანონდა, ლოკომოტივი იყო ანტიდისკრიმინაციული

კანონის მიღება... თუ ისინი შეეცდებიან თავისი ცხოვრების წესის პროპაგანდას, არ გამოირიცხება, რომ ამას საზოგადოების გარკვეული ნაწილის მხრიდან ძალადობა მოჰყვეს.“

**ობიექტივი, ღამის სტუდია, 7 მაისი**

**ღამით თარსან-მოურავი, პატრიოტთა ალიანსი:** „ეს ადამიანები, ეს ჯგუფები და ეს ორგანიზაციები ყველა ქვეყანაში მოდიან დაჩაგრულის ნიღბით და იწყებენ ლაპარაკს იმაზე, რომ ჩვენ მათ ვჩაგრავთ... და ითხოვენ ჩვენგან სხვადასხვა კანონების მიღებას... ეს არის ყველაზე მასშტაბური თავდასხმა ფსიქოლოგიაზე, კაცობრიობის ისტორიაში.“  
<http://obieqtivi.net/tv1.php?id=16850>

## ანტიდისკრიმინაციული კანონი: ანტიდასავლური განწყობები

### ოზიმქტივი, ღამის სტუდია, 5 მაისი

**სოსო მანჯავიძე, პატრიოტთა ალიანსი:** „არსებობს ძალიან ძლიერი ლობი დასავლეთიდან კონკრეტულად, რომელიც აიძულებს პირდაპირ საქართველოს კანონმდებლებს, რომ მიიღონ უაღრესად არაპოპულარული გადაწყვეტილება.“

### ასავალ-დასავალი, 5-11 მაისი

**ნიკოლოზ ჩხიკვაძე, მღვდელი:** „ვიღაც ფულეს ჩვენი პატრიარქის მოტყუების უფლებას ვაძლევთ და მისი სიტყვა ქართველი პარლამენტარებისთვის პატრიარქის თხოვნაზე მეტი აღმოჩნდა.“

<http://www.asavali.ge/archive/asdas/2014/1019.html>

### ასავალ-დასავალი, 5-11 მაისი

**ძრისტიფოროვა წამალაძე, მეუფე:** „...რას შევებით ტვინგაწყალბებულ ქართველებო, \_ დასავლეთის მოსამადლიერებლად ღმერთი გინდათ მოიმდუროთ?...“

<http://www.asavali.ge/archive/asdas/2014/1019.html>

### ასავალ-დასავალი, 5-11 მაისი

**ბიორბი გიბაშვილი, ჟურნალისტი:** „რატომ იმალებიან აქაური ლიბერალისტი რესპუბლიკელები და მათი ნაცი თანამოაზრეები ევროკავშირის ზურგს უკან?! მით უმეტეს, რომ ევროკავშირის ღამის 90 ქვეყანასთან აქვს გაფორმებული ეს ასოცირების ხელშეკრულება და სანაცვლოდ არავისგან მოუთხოვია პედერასტების ნორმად აღიარება.“

<http://www.asavali.ge/archive/asdas/2014/1019.html>

### ასავალ-დასავალი, 5-11 მაისი

სათაური: „პიდარასტები მოდიან!“

**ღიმიტრი ჩუბინიძე, ჟურნალისტი:** „ამ ღვთითბომებულ მიწას გამძვინვარებული რუსეთის იმპერია უტევს ტანკით, ხოლო გაბახებული, თავლაფდასხმული დასავლეთი - უკაცრავად პასუხია და ტრ...კით!..“

დღეს საქართველო მოქცეულია ორ უბედურებას შორის. ერთს ცეცხლისა და დენტის სუნის ასდის, ხოლო მეორეს - აქოთებული ტრანსექსუალების, ტრანსვესტიტებისა და ჰომოსექსუალების.“

<http://www.asavali.ge/archive/asdas/2014/1019.html>

### კვირის ქრონიკა, 5-11 მაისი

**ბიორბი ფოფსაძე, ჟურნალისტი:** „...ევროპის კარი ტრაკით არა მხოლოდ შევადეთ, ისე წინ წავედით, რომ უკვე იქა ვართ!.. თან უკუსვლით მივდივართ და თან, საჯდომით.“

### ასავალ-დასავალი, 5-11 მაისი

**თენგიზ კიტოშანი, თავდაცვის ყოფილი მინისტრი:** „თუ არჩევანი ასეა დაყენებული, მაშინ ჯობს ისევე რუსული ორიენტაცია, ვიდრე არატრადიციული ორიენტაცია!.. ათი წელია, მათკენ მივიწვევთ და რა მივიღეთ ევროპისა და ამერიკისგან? \_ მხოლოდ სიბილწე და გარყვნილება, ჩვენი რელიგიისა და ტრადიციების შეურაცხყოფა.“

<http://www.asavali.ge/archive/asdas/2014/1019.html>

### ალია, 8 მაისი

#### ჯონდი ბალათურია, ქართული დასი:

„მარიონეტები არიან. იმართებიან საზღვარგარეთიდან, დამოკიდებულები არიან არა საკუთარ ხალხზე, რომელმაც ისინი აირჩია, და მასობრივად გამოთქვამს პროტესტს ამ კანონის გამო, არამედ დამოკიდებული და ანგარიშვალდებული არიან უცხოელი პატრონების მიმართ.“

გაგრძელება გვ. 9



## ანტიდისკრიმინაციული კანონი: ანტიდასავლური განწყობები

დასაწყისი გვ. 8

GEWORLD.GE, 8 მაისი

**მამა მთარაშვილი, პატრიოტა ალიანსი:** „არ მინდა ევროპა, რომელიც სოდომ-გომორის ცოდვაში ჩამაგდებს. ქვა-ქვაზე ნუ დარჩენილა საქართველოში, თუ ის პედერასტების და ლესბოსელების ქვეყანა გახდება.“

<http://geworld.ge/View.php?ArtId=5870>

GEWORLD.GE, 8 მაისი

**ზია კორკოტაშვილი, რადიო წამყვანი:** „... რუსეთში კი არა, სადაც გინდათ, იქ დავრჩები, თუ ჩემს ქვეყანაში ინცესტი არ დაკანონდება, თუ მამათმავლებისგან ნორმალურ მოსახლეობაზე ზეწოლა არ იქნება... გვაშინებენ: თუ გინდათ, რუსეთში არ დავრჩეთ, ამისთვის ამერიკას, ანუ ინცესტის მქადაგებლებს, პედერასტებსა და პედოფილებს უნდა მივეტმასნოთო, მაგრამ ამას ნორმალური ადამიანი არ «ჭამს»!

<http://www.geworld.ge/View.php?ArtId=5871>

## ანტიდისკრიმინაციული კანონი: კომოვობიური განცხადებები

ოზიმატივი, ღამის სტუდია, 5 მაისი

**ნუკრი ქანთარია, „ქართული ოცნება“:** „ეს, რომ ფაქტი ნორმალური არ არის და ანომალიაა ჩემთვის პირადად, ცოდვაა ეკლესიურად, ბუნებრივია, და მე ვთვლი, რომ ეს არის გადახრა. ეს არის ბუნების საწინააღმდეგოდ...“

**ნინო რატიშვილი, წამყვანი:** „ეს კატეგორიაც არის, ორი კატეგორიაა: ანომალია და გარყვნილება...“



**ნუკრი ქანთარია, პარლამენტარი:** „რა თქმა უნდა, მე ისევე ვამბობ ანომალიაა, და მე არა მაქვს იმის შიში, რომ ჩვენს სამშობლოში, რომ ოდესმე ამას, პერსპექტივა და ის განვითარება მიეცეს, რისი საფრთხეებზეც იყო ხოლმე საუბარი. ძირითადად მიდიოდა იმაზე, რომ აი დაკანონდება ერთსქესიანთა ქორწინება... მსგავსი არაფერი... ვერ მოყვება, ამას ვერ დაუშვებთ ვერცერთი ჩვენთაგანი...“

[https://www.myvideo.ge/?video\\_id=2328210](https://www.myvideo.ge/?video_id=2328210)

საქინფორმი, 7 მაისი

„საქინფორმის მკითხველს შევახსენებთ, რომ ეს კანონი გულისხმობს ლესბოსელების, გეების, ბისექსუალების და ტრანსგენდერების უფლებათა ექსკლუზიურ დაცვას, რომლებიც ამიერიდან თავისი დამახინჯებული სექსუალური ორიენტაციის საჯარო პროპაგანდის კანონიერ უფლებას მიიღებენ.“

[http://saginform.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=18783:2014-05-07-09-06-54&catid=102:samartali&Itemid=473#ixzz31UwpOHi2](http://saginform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=18783:2014-05-07-09-06-54&catid=102:samartali&Itemid=473#ixzz31UwpOHi2)

გაგრძელება გვ. 10

## ანტიდისკრიმინაციული კანონი: კომოფორტიური განცხადება

დასაწყისი გვ. 9

GEWORLD.GE, 7 მაისი

**ბონდო მინარაშვილი, "ობიექტივის" ჟურნალისტი:** „...კიდევ ერთი საფრთხე, რომელზეც ხშირად საუბრობენ, ეს არის სამომავლო დაპირისპირებები ამ «ემოციურ რომანტიკულესა» და «რომელიმე სქესს თვითმიკუთვნებულ» და ნორმალურ ადამიანებს შორის ქუჩაში, საზოგადოების თავშეყრის ადგილებში და შემდეგ უკვე სასამართლოში...

«გენდერული იდენტობისა» და «სექსუალური ორიენტაციის» წახალისება საკანონმდებლო დონეზე მომავალში აუცილებლად შექმნის პრობლემას, რადგან გადახრა ნელ-ნელა ნორმად ჩამოყალიბდება, თორემ მათ ახლაც არავინ დასდევს ქუჩაში ქვების სროლით.“

### ასავალ-ღასავალი, 5-11 მაისი

**ზაზა ღაშითაია, ჟურნალისტი:** „ქალბატონო ნანა, ჩვენში უმცირესობის მოთხოვნებსა და გარყვნილობას შორის ზღვარი სულ უფრო ბუნდოვანი ხდება...“

<http://www.asavali.ge/archive/asdas/2014/1019.html>

### კვირის ქრონიკა, 5-11 მაისი

**ბიორბი შენგელაია, კინორეჟისორი:**

„აქ გამოყოფილია ჰომოსექსუალები და გადახრების მქონე ხალხი. ასეთი დაავადებულები ქალებიც არიან და კაცებიც... ჩემი აზრით ეს „ელგებეტე“ ჯგუფები არიან ავადმყოფები, ბუნება ქმნის ჯანსაღ ადამიანებს და დაავადებულ ადამიანებს.“

**ბელა ზედელაშვილი, ჟურნალისტი:**

“ ბატონო გიორგი, არც ერთი კანონი ჩვენ არ გვეუბნება, რომ ესენი ავადმყოფები არიან და დახმარება სჭირდებათ. ეს უკვე იქცა ნორმად და მიდის პროპაგანდა... რასაც თქვენ ამბობთ, თითქმის იგივე წერია რუის-ურბნისის საეკლესიო კრების განჩინებაში - ესენი არიან ავადმყოფები“...

### ალია, 9-12 მაისი

**ბიორბი რაზმაძე, დეკანოზი:** „...კაცი, რომელიც იმახის, ქალი ვარო, იმის უფლებებს იცავენ, იმის მაგივრად, რომ ისიც სამკურნალოდ გაუშვან.“

### ასავალ-ღასავალი, 5-11 მაისი

**ქრისტეშორე ზამალაძე, მეუფე:**

„აი, რა წერია წმინდა წერილში მამათმავლების შესახებ: ესენი აღვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით, ბოროტებით, ანგარებით და სიავით, სავსენი შურით, მკვლელობით, შუღლით, ვერაგობით, უზნეობით და მახეზარობით, ცილისმწამებელნი, ღვთისმოძულენი... იციან მათ ღვთის სამართალი, რომ ამის მოქმედნი სიკვდილს იმსახურებენ...“

მაგათ უნდათ, როგორც სოდომში, საქართველოშიც უმრავლესობაში იყვნენ და როცა უმრავლესობაში იქნებიან, მერე იცით, რა მოხდება? მერე სხვების გაუპატიურებას დაიწყებენ.“

<http://www.asavali.ge/archive/asdas/2014/1019.html>

### რეპორტიორი, 5 მაისი

**არჩილ ჭყობიძე, ევრაზიული არჩევანი:**

“მთავარი მოთხოვნა იქნება საქართველოში მამათმავლობისა და ლესბოსელობის პროპაგანდის სისხლისსამართლის წესით დასჯა, ვინაიდან ეს ხრწნის ჩვენს ახალგაზრდებს... მამათმავლობა და მისი პროპაგანდა ნარკომანიაზე უფრო დიდი დანაშაულია.“

<http://www.reportiori.ge/?menuid=3&id=25369>

გაგრძელება გვ. 11

## ანტიდისკრიმინაციული კანონი: კომოვობიური განცხადებები

### GEWORLD.GE, 8 მაისი

**ბია კორკოტაშვილი, რადიო წამყვანი:** „გეებს თუ უნდათ, გახსნან გეისკოლა და, ვისაც სურვილი აქვს, მივიდეს და იქ ისწავლოს. ეს ყველაფერი ლუსტრირებული იქნება. აბა, ის სჯობს, რომ ერთმა გათხვრილმა ღორმა ათასი გათხვაროს? რატომ უნდა დაიწყოს ავადმყოფმა, გარყვნილი აზრებით შეპყრობილმა პედაგოგად მუშაობა იმ საზოგადოებაში, რომელშიც გვსურს, რომ ჯანსაღი თაობა გაიზარდოს?.. ხალხნო, იყენენ ეს ავადმყოფები ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ნორმალურ ადამიანებს ნუ გაუტოლებენ, იყენენ თავისთვის და იცხოვრონ წყნარად, მაგრამ, როგორც კი დავინახავთ, რომ თავიანთი ცხოვრების პრობაგანდას ეწევიან, იმ წამსვე ჩავერიოთ ხისტად. ასეთი ადამიანების ცხოვრების რეკლამირების გამო სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძრას.“

... ჩვენ არ გვინდა ისეთი ცივილიზაცია, რომლის გზაც უკანალზე გადის!“

<http://www.geworld.ge/View.php?ArtId=5871>

### ასავალ-დასავალი, 5-11 მაისი

**ბალერი გელბახიანი, პარლამენტის ყოფილი წევრი:** „ვიდაცა თუ მამათმავალია, ჩემზე უპირატესი უფლება რატომ უნდა ჰქონდეს რამეში?!“


<http://www.asavali.ge/archive/asdas/2014/1019.html>

### ალია, 7 მაისი

**მიხეილ ანდლუშაძე, კოალიცია „ერთსულოვნება“:** “ეს საცოდავი ადამიანები ჩვენს გარემოში ყოველთვის იყვნენ, მაგრამ მათ მიმართ ტოლერანტულები ვიყავით, ისინიც არასდროს აძლევდნენ თავს უფლებას, გამოსულიყვნენ, გამომზეურებულ-იყვნენ და მანიფესტაციები მოეწყოთ.“

## გენდერული სტერეოტიპები

### რეზონანსი, 9 მაისი



#### ბიორბი ლაზაშვილი, რესპონდენტი:

“გოგონა თავს უფრო უნდა უვლიდეს, ბიჭისთვის კი ეს აუცილებელი არ არის...“

... მინდა ლამაზი აღნაგობის გოგონა მყავდეს გვერდით. ქალს ზედმეტი წონა არ უხდება, მანდილოსანი იმისთვის არსებობს, რომ ქვეყანას ალამაზებდეს, კაცს ამდენი არ მოეთხოვება.“